ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 2017-035

ქ.თბილისი 03 თებერვალი 2017 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის პირველი მოადგილის ნათია კაციტაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯი-სი-თი" წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგი ფერაძის (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის კანონის მე-3 მუხლის ს[1] (5000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა - მონეტარული ზღვრების შესაბამისად) პუნქტის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და მოწოდების ვადა

2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს სახალხო დამცველის აპარატს 2017 წლის 04-05 თებერვალს ლოპოტას ტბაზე სახალხო დამცველის აპარტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე (თემა: „ინტერნეტის თავისუფლებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება დაა ადგილობრივთან შედარება") სათარგმნი აპარატურით და თანმდევი მომსახურეობით (CPV კოდი 79900000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1534.00 (ერთი ათას ხუთას ოცდათოთხმეტი) ლარს.

#	დასახელება	დღეების რ-ბა	რაოდენობა	ღირებულება
1	ცენტრალური აპარატურა, მიკროფონი და ყურსაცმები (14 ცალი) ხმის სისტემა, უსადენო მიკროფონი (2 ცალი), ტრანსპორტირება, საინსტალაციო ატრიბუტები	2 დღე	1 ცალი	1534.00

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედდებული ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი ნიკო თათულაშვილი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი და მარიამ კვიციანი -ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაწეული საქონლის მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის: ქ.თბილისი ნ.რამიშვილის 6 საიდ.კოდი: 203860679 ტელ: 2913814/15 ფაქსი: 2913841 ელ–ფოსტა: mkvitsiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა: 200122900 სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე	შპს „ჯი ხი თი" ს/კოდი 404483466 ტელ: 597 75-76-77 მის: ქ.თბილისი დადიანის 24ა ბანკი: „თი ბი სი ბანკი" ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE03TB7526536080100002 დირექტორი გიგი ფერაძე